გთხოვთ შეიტანოთ ცვლილება
სამართლებლივ აქტში N5431770 თარიღი: 02/06/2021 და 5450932 თარიღი: 02/06/202115/06/2021
ორი კორპუსის ჯამური ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლები გგაგვიმიჯნოთ ორ ნაწილად A და B ბლოკებად.

A ბლოკი

ტექნკიურ ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართობი 3600 კვ.მ;
- განაშენიანების ფართი - 401.2 კვ.მ;
- საერთო ფართობი - 5728.6 კვ.მ;
- საცხოვრებელი ფართი - 4173 კვ.მ;
- საზაფხულო ფართი - 701.3 კვ.მ;
- კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი - 693.35 კვ.მ;
- შიდა ავტო სადგომი - 184.5 კვ.მ;
- ღია ავტო სადგომი- 394.1 კვ.მ;
- სამშენებლო მოცულობა - 23727.3 კვ.მ
- 0,00 ნიშნულს ზევით - 23153.9 კბ.მ;
- 0,00 ნიშნულს ქვევით - 573.4 კუბ,მ;
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე 52,8 მ
- 0,00 ნიშნულის ზევით - 51.6 მ;
- 0,00 ნიშნულის ქვევით - 1.2 მ;
- კ1- 401.2 კვ.მ;
- კ2-6260.3 კვ.მ;

B ბლოკი

ტექნკიურ ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართობი 3600 კვ.მ;
- განაშენიანების ფართი - 401.2 კვ.მ;
- საერთო ფართობი - 4510.3 კვ.მ;
- საცხოვრებელი ფართი - 3264.2 კვ.მ;
- კომერციული ფართობი - 135,1 კვ.მ;
- საზაფხულო ფართი - 481 კვ.მ;
- კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი - 495.25 კვ.მ;
- შიდა ავტო სადგომი -111.2 კვ.მ;
- ღია ავტო სადგომი - 518.6 კვ.მ;
- სამშენებლო მოცულობა - 17984 კვ.მ
- 0,00 ნიშნულს ზევით - 17410.7 კბ.მ;
- 0,00 ნიშნულს ქვევით - 573.3 კუბ,მ;
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე 39,8 მ
- 0,00 ნიშნულის ზევით - 38.6 მ;
- 0,00 ნიშნულის ქვევით - 1.2 მ;
- კ1- 401.2 კვ.მ;
- კ2-4707.9 კვ.მ;

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5450932

გაცემის თარიღი: 15/06/2021 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1829845
შემოსვლის თარიღი: 03/06/2021
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.11.027.065
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 48
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3600.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ეპიკ ისანი" (401992368)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, მამია გურიელის ქ., N5ა, საოფისე ფართი, სართული 1

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 3 ივნისს №AR1829845 განცხადებით მომართა ქეთევან ბაბაჯანაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, №48-ში, №01.17.11.027.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №25 და 2021 წლის 5 მარტის №85 განკარგულებების საფუძველზე, ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი ავტოსადგომის (შიდა) - 295.7 კვ.მ. ფართობის დამატებას. ამასთან, საცხოვრებელ ფართობად 7439.4 კვ.მ-ის ნაცვლად 7437.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1177.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1182.3 კვ.მ-ის და საერთო ფართობად 9940.3 კვ.მ-ის ნაცვლად 10238.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად - 912.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

ამასთან, განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში შეცდომით დაფიქსირდა მშენებლობის ვადა, კერძოდ "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით" ნაცვლად დაფიქსირდა "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისიდან 2022 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით".

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ +0.00, +3.00 და +45.25 ნიშნულების გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

ამასთან, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 2 მარტის №AR1807567 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე და სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი ავტოსადგომის (შიდა) ფართობი - 295.7 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 7437.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1182.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 10238.9 კვ.მ. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 912.7 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით შეთანხმებული +0.00, +3.00 და +45.25 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით“.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებასთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5431770

გაცემის თარიღი: 02/06/2021 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1807567
შემოსვლის თარიღი: 02/03/2021
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.11.027.065
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 48
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3600.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ეპიკ ისანი" (401992368)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, მამია გურიელის ქ., N5ა, საოფისე ფართი, სართული 1

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4743579 (№ 4889804; 09/03/2020).
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.11.2019

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილ თავართქილაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ეპიკ ისანი“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401992368
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ქეთევან ბაბაჯანაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01027058252

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3600.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 802.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9940.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 7439.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 135.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1177.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1188.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 41711.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 40564.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1146.7
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 49.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 48.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 802.4კვ.მ / 3600 კვ.მ = 0.22
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2= 6260.3 (A ბლოკის კ2) + 4707.9 (B ბლიკის კ2) = 10968.2 კვ.მ / 3600 კვ.მ = 3.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 936.0 კვ.მ / 3600 კვ.მ = 0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5210479
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 24.12.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5210479
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.12.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ბრძანება

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, N48, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.17.11.027.065) 2021 წლის 29 იანვრის N 25 განკარგულებისა და 2021 წლის 05 მარტის N85 განკარგულების საფუძველზე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისიდან 2022 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.

4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:

4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;

4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;

4.4. კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.

4.5. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

4.6. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

  - აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

  - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო

რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი